ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 4-12

« 19 » თებერვალი 2016 წ.

ქ. თბილისი

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-103 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge 06/01/2015; სარეგისტრაციო კოდი 330130000.35.101.016104) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1. მე-2 მუხლის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ზონა - სასაფლაოს ნაწილი, რომელიც დამტკიცებულია ოპერატორის მიერ თბილისის მთავრობასთან შეთანხმებით და რომელიც განკუთვნილია და გამოიყენება ადამიანის ნეშტის დასაკრძალად. ზონა შესაძლებელია შედგებოდეს სექტორებისგან. დამტკიცებულ ზონებში ზონის შიგნით ცვლილებების შეტანას ახორციელებს ოპერატორი თბილისის მთავრობასთან შეთანხმების გარეშე;“

„ვ) სექტორი - დამტკიცებულ ზონაში არსებული, საფლავების ერთი ან რამდენიმე რიგი;“

2. მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საქალაქო სასაფლაოს ტერიტორიაზე დაკრძალვისთვის გამოყოფილი თავისუფალი მიწის ნაკვეთი შედგება არა უმეტეს 5 ზონისგან. ამ წესის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად ზონების რიგითობასა და ზონის დადგენას ახორციელებს

ოპერატორი თბილისის მთავრობასთან შეთანხმებით, ხოლო ფასებს ადგენს თბილისის მთავრობა. ზონების რიგითობა განისაზღვრება სამანქანო გზიდან დაშორების ან/და მიწის ნაკვეთის რელიეფის გათვალისწინებით. მე-5 ზონის გამოყოფა სავალდებულოა და აღნიშნულ ზონაში განთავსებული ერთ და ორადგილიანი საფლავების გამოყოფა უფასოა. საქალაქო სასაფლაოზე მე-5 ზონაში განლაგებული თავისუფალი საფლავების რაოდენობა უნდა იყოს იმავე სასაფლაოზე თავისუფალი საფლავების რაოდენობის არანაკლებ 40%. მე-5 ზონის გარეთ არსებულ თავისუფალი მიწის ნაკვეთზე სხვა ზონების რიგითობა დამოკიდებულია არსებულ რელიეფსა და ინფრასტრუქტურაზე, ხოლო საფლავის გამოყოფის ფასი განისაზღვრება სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ კერძო სასაფლაოებზე საფლავის გამოყოფის ფასის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში, საქალაქო სასაფლაოზე მე-5 ზონის გარეთ არსებულ ზონებში საფლავის გამოყოფის ფასი არანაკლებ 20%-ით ნაკლები უნდა იყოს კერძო სასაფლაოებზე არსებულ ფასებზე.“

3. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტიის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საგვარეულო სამარხის არქონის შემთხვევაში, მე-5 ზონაში, დადგენილი წესის შესაბამისად, მოახდინოს უფასოდ ერთ ან ორადგილიანი საფლავის გაცემა;“

4. მე-6 მუხლის 2[2] პუნქტი ამოღებულ იქნეს.

5. მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საფლავში, როგორც წესი, შეიძლება იყოს არა უმეტეს ექვსი სამარე. გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია ოპერატორის გადაწყვეტილებით.”.

მუხლი 2. ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ შესაბამისი საქალაქო სასაფლაოს დამტკიცებული ზონები ჩაითვალოს შეთანხმებულად/დამტკიცებულად.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**